

Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

No1 (33)'23





TBILISI STATE OPERA

TBILISI BALLET FESTIVAL



თბილისის ბალეტის ფესტივალი

28 ივნისი
JUNE
ივლისი
JULY
2023 9




Arabesque

No1 (33) 2023

Ballet Magazine

„არაბესკი“ მურნალი ბალეტო



გამართა ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის შურანალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მისურაძე
Artistic Director of the Theatre
BADRI MAISURADZE

ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი
Director of the Ballet Company
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე
Editor-in-Chief
ILIA TAVBERIDZE

ინგლისურად ტექსტების თარგმანი ნატო კირვალიძე
Texts translated into English by
NATO KIRVALIDZE

ინგლისური ტექსტების რედაქტორი ოსოლია საროსი
Editor of the English language content
ORSOLYA SAROSSY

დიზაინი ბესიკ დანელიასი
Design by
BESIK DANELIA

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, ხატია ჯიჯიშვილის და საბალეტო დასის მსახიობთა პირადი არქივის ფოტოები

This issue features photographs by Lado Vachnadze, Khatia Jijeishvili, as well as photos from personal archives of actors of the Ballet Company

გარეკანზე: „კარმინა ბურანა“. ხატია ჯიჯიშვილის ფოტო
On the cover: *Carmina Burana*. Photo by Khatia Jijeishvilis

დაიბეჭდა „ფავორიტი სტილში“
Printed by "Favorite Style" Ltd



საქართველოს აუტორიტეტის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

გამოცემა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით
Published with the support of the Ministry of Culture, Sport and Youth of Georgia

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25
25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA
ტელ./TEL: +995 32 235 75 03
თირაშო: 300

UDC (უკ) 792.8
A-70
ISSN 1512-3294

www.opera.ge

თბილისის ბალეტის ფესტივალი უბრუნდება ჩვენი თეატრის სცენას და უბრუნდება მაცურებელს, რომელსაც უყვარს ცეკვა!

ფესტივალი წელს მეოთხედ გაიმართება. პროგრამა კვლავ ისეა შედგენილი, რომ დიდ არჩევანს სთავაზობს როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქორეოგრაფიის მოყვარულებს; ნახავთ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულ შემსრულებლებს, ცნობილ კომპანიებს. და რაც განსაკუთრებულად სასიხარულოა, ჩვენი თეატრის სცენა დაემთხობათ იმ ქართველ მოცეკვავეებს, რომლებსაც უცხოეთის წამყვან საბალეტო თეატრებში წარმატებული კარიერა აქვთ. ბევრი მათგანის შემოქმედებითი ბიოგრაფია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო.

ფესტივალის შესახებ მომავალ ნომერში ვრცლად მოგიხსობთ. ამ გამოცემაში კი მთავარ ადგილს ორი მოვლენა დაიკავებს, რომლებმაც დაამშვენეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის, მისი საბალეტო დასის და ქართული ბალეტის ისტორია.

თანამედროვე ბალეტის „კარმინა ბურანას“ პრემიერამ წარმატებით ჩაიარა თბილისშიც და იტალიაშიც, Teatro Regio Torino-ს სცენაზე, რომლის კოპროდუქციასაც წარმოადგენს ეს დადგმა. „კარმინა ბურანა“ პირველი საბალეტო სპექტაკლია, რომელშიც ოპერის სოლისტები, გუნდი, საბალეტო დასი და ორკესტრი ერთად მონაწილეობდნენ.

გამაფხულებე წარმატებული გასტროლი შედგა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „საქართველო ათბობს ნიუ-იორკს“, „ანანიშვილის დაბრუნება ამერიკაში“, „საქართველოს „სერენადა“ – ასე ეხმაურებოდა მედია ქართული ბალეტის გამოსვლებს ამერიკის ქალაქებში.

„არაბესკი“ ამ ორ მოვლენაზე ვრცლად მოგიხსობთ!

The Tbilisi Ballet Festival makes a return to our theatre's stage and to the audience with a profound love for dance!


This year marks the fourth edition of the festival. The program is once again meticulously crafted to provide a diverse selection for enthusiasts of both classical and modern choreography. The audience will have the opportunity to witness performances from world-renowned artists and acclaimed companies. Notably, our theatre's stage will be graced by Georgian dancers who have forged successful careers in leading international ballet theatres. For many of these performers, their artistic journey began at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

We will tell you more about the festival in the upcoming issue. In this edition, the spotlight will be on two events that have embellished the history of the Tbilisi Opera and Ballet Theatre, its Ballet Company, and the Georgian Ballet.

The modern production of *Carmina Burana* premiered with great success in both Tbilisi and Italy, at the Teatro Regio Torino, which co-produced this performance. *Carmina Burana* marked the first ballet performance in which opera soloists, chorus, ballet company, and orchestra took part together.

In spring, a successful tour was conducted in the United States of America. "Georgia Warms Up New York," "Ananiashvili's Return to the U.S.," and "Sakartvelo 'Serenade'" were some of the headlines in response to the State Ballet of Georgia performances in various US cities.

"Arabesque" will tell you in detail about these two events!



04

თბილისის ბალეტის ფესტივალი
Tbilisi Ballet Festival

ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI

გასტროლი · TOUR

06

ერთობლივი პროექტი ტურინში
Joint Project in Turin

მიმოხილვა · REVIEW

10

„კარმინა ბურანა“
Carmina Burana

მიშელ ოდინი
MICHEL ODIN

17

იშბილვა · ANNIVERSARY

სიზმრები იაპონიაზე
Dreams About Japan

23

BALLET NEWS

25

გასტროლი · TOUR

ქართული ბალეტი ამერიკაში
The Georgian Ballet in
the United States

ილია თავბერიძე
ILIA TAVBERIDZE



31

„ისინი მე გაგზარდეს!“
“I Raised Them!”

გია კურლასი
GIA KOURLAS

35

საქართველოს სერენადა
Sakartvelo serenade

ჯინ კუმბსი
JANE COOMBS

39


საქართველო ათბობს ნიუ-იორკს
Georgia Warms Up New York

მერილის სევილია-გონზაგა
MARYLIS SEVILLA-GONZAGA

41

შეხვედრა მისტერ B-სთან
Meeting with Mr. B

ნიალა გოძიაშვილი
NIALA GODZIASHVILI




46

ქართული ბალეტის მეგობართა
საზოგადოება

171-ე სეზონის ქრონიკა
Friends of the Georgian Ballet
Chronicle of the 171st Season

48

დასი
The Company



ნინო ანანიაშვილი

NINA ANANIASHVILI

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი
Artistic Director of the Tbilisi Ballet Festival

ბალეტის და ოპერის თითოეულ შემსრულებელს ან მოყვარულს, სპექტაკლის ბოლოს თეატრალური ფარდის დაშვებისას, ერთხელ მაინც განუცდია სურვილი: „არ მინდა წარმოდგენა დამთავრდეს!“

ასეთი შეგრძნება გვექონდა ჩვენ 2017 წელს, როდესაც თბილისის ბალეტის საერთაშორისო ფესტივალი პირველად ჩატარდა. თუმცა თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ მომავალ წელს ისევ შევხვდებოდით. მაგრამ შემდგომ იყო პანდემია, პირბადეები, თითქმის გაუქმებული სეზონი, დიდი ფინანსური პრობლემები ხელოვნების სამყაროში...

ესეც გადავიტანეთ... და დღეს მოხარულნი ვართ მოგესალმით თბილისის ბალეტის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის დაწყებისას.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი თავისი ყველაზე პოპულარული რეპერტუარით; მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები – ალესანდრა ფერი, ალინა კოჯოკარუ, მარსელო გომესი, რის კლარკი; შესანიშნავი თეატრების – უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის ბალეტის, „ბოსტონ ბალეტის“, ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის, ბერლინის სახელმწიფო ბალეტის, „ფილადელფია ბალეტის“, პოლონეთის ნაციონალური ბალეტის, „მონტე-კარლო ბალეტის“, სომხეთის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის ბრწყინვალე მოცეკვავეები; ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ სცენებზე გამოდიან – ლაშა ხობაშვილი, ნინო მათიაშვილი, გიორგი ფოცხიშვილი, ლიზი ავსაჯანიშვილი; დირიჟორები, რომელთაც სახელი გაითქვს ბალეტის სამყაროში – ვახტანგ მაჭავარიანი, ზაზა აზმაიპარაშვილი, კარენ დურგანიანი, ალექსეი ბაკლანი, პაპუნა ღვაბერიძე.

ეს არის ფესტივალის ის დეტალები რითიც ვამაყობთ და რასაც ვახტანგ ჭაბუკიანის, დავით ჯავრიშვილის, ვერა წიგნაძის, ზურაბ კიკალეიშვილის, მარია ბაუერის, ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სამშობლო იმსახურებს.

და კიდევ იმიტომ ვამაყობთ, რომ საქართველოს წარმოდგენა და წარდგენა თეატრის გარეშე სრულიად შეუძლებელია. როგორც ლოურენს ოლივიემ ბრძანა: „კარგი თეატრი დიდ ან პატარა ქალაქში, თუნდაც

At the end of a performance as the final curtain descends, every ballet and opera performer or enthusiast has experienced the longing, at least once: “I wish this performance would not end!”

We experienced this kind of longing in 2017 when we held the First Tbilisi International Ballet Festival. Although we consoled ourselves with the assurance of a reunion the following year. But then came the pandemic, face masks, a season on the brink of cancellation, and the financial strains in the world of art...

We got over these...

Today, we are delighted to extend a warm welcome as we commence the 4th Tbilisi Ballet Festival.

We take great pride in presenting the State Ballet of Georgia showcasing their most celebrated repertoire; world ballet stars like Alessandra Ferri, Alina Cojocar, Marcelo Gomes, Reece Clarke; the talented dancers from prestigious theatres including the Taras Shevchenko National Opera and Ballet Theatre of Ukraine, Boston Ballet, Dutch National Ballet, Staatsballett Berlin, Philadelphia Ballet, Polish National Ballet, Les Ballets de Monte-Carlo, the Armenian National Opera and Ballet Theatre; our compatriots who grace various prestigious stages worldwide – Lasha Khozashvili, Nina Matiasvili, Giorgi Potskhishvili, Lizi Avsajanishvili; conductors renowned in the ballet world – Vakhtang Matchavariani, Zaza Azmaiparashvili, Karen Durgaryan, Alexei Baklan, Papuna Gvaberidze. These are the details of the Festival that fill us with pride, and are a fitting tribute to the homeland of such luminaries as Vakhtang Chabukiani, Davit Javriashvili, Vera Kikaleishvili, Zurab Kikaleishvili, Maria Bauer, Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili.

We are also proud because it is utterly impossible to imagine and present Georgia without its theatre. As Laurence Olivier stated: “In a great city, or even in a small city or a village, a great theatre is the outward and visible sign of an inward and probable culture”.

Our deepest gratitude goes out to the Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia, the Tbilisi City Hall, the U.S. Embassy in Georgia, the Embassy of Italy in Georgia,



Photo by Kikalestudio

სოფელში, შინაგანი კულტურის ხილული და უდავო ნიშანია“.

გულწრფელი მადლობა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიას, ამერიკის შეერთებული შტატების და იტალიის საელჩოებს, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებას, კომპანიებს: „სარაჯიშვილი“, „თიბისი“, „ლუფთჰანზა“, „ლექსუსი“, „მატო მუხრანი“, „მარიოტი“, „თეატრი“, „წისქვილი“, „ლოქსიტანი პროვანსიდან“, რადიო „ფორტუნას“, ჟურნალ „გლოსის“, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს, გუნდს, საბალეტო დასს, თითოეულ თანამშრომელს და ყველას, ვინც ფესტივალის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა.

ჩვენ ვიწყებთ თბილისის ბალეტის ფესტივალს!

the Friends of the Georgian Ballet, and our corporate sponsors: Sarajishvili, TBC, Lufthansa, Lexus Georgia, Château Mukhrani, Marriott, Theatre, Tsiskvili, L’OCCITANE en Provence, Radio Fortuna, Glossy Magazine, the Tbilisi Opera and Ballet Theatre’s Orchestra and Chorus, the Ballet Company, every member of the staff, and everyone else who played a part in the organization of the Festival.

We are thrilled to announce the commencement of the Tbilisi Ballet Festival!

ერთობლივი პროექტი ტურინში

JOINT PROJECT IN IN TURIN

იტალიის ისტორიული და ლამაზი ქალაქი ტურინი ქალაქის მფარველის – იოანე ნათლისმცემლის დღეს 24 ივნისს აღნიშნავს. მაგრამ საზეიმო განწყობა ქალაქში წელიწადის ნებისმიერ დროს იგრძნობა. ბაროკოს სტილის არქიტექტურა, უძველესი კაფეები, მსოფლიოში პირველი ჯოხზე დამაგრებული ნაყინი „პეპინო“, მუზეუმები და რაც მთავარია ქრისტეს სუდარა, რომლის სანახავად აქ იოანე ნათლისმცემლის ტაძარს უამრავი ტურისტი სტუმრობს, ტურინს მიმზიდველს და საინტერესოს ხდის.

ტურინში რამდენიმე მუსიკალური და თეატრალური ფესტივალი ტარდება. ქალაქის ცნობილი საოპერო თეატრი კი მთელი სეზონი გამორჩეულ პროგრამას სთავაზობს მაყურებელს. 1740 წელს აშენებული Teatro Regio Torino ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. თეატრი 1936 წლის ძლიერი ხანძრის შემდეგაც იქვე დგას, ქალაქის მთავარ პიაცაზე. მაგრამ ახლა მისი თანამედროვე, კარლო მოლინოს არქიტექტურით შექმნილი წითელი დარბაზი სრულიად განსხვავდება ძველი თეატრის ინტერიერისგან, სადაც პუჩინის „ბოჰემას“ პრემიერა შედგა.

ამ თეატრში 2022 წლის დეკემბერში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის გასტროლი გაიმართა. პროგრამაში თანამედროვე ბალეტი/სასცენო კანტატა „კარმინა ბურანა“ და ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ იყო.

საერთაშორისო პროექტში „კარმინა ბურანა“, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასთან ერთად მონაწილეობდა ტურინის ოპერის ორკესტრი და გუნდი.

პროექტის იდეა ტურინის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სებასტიან შვარცს ეკუთვნის.



The historic and enchanting city of Turin, Italy, commemorates the day of its patron saint, John the Baptist, on June 24. However, the city maintains a festive atmosphere throughout the year. Turin's Baroque-style architecture, its oldest cafes, the world's first ice cream on a stick – 'Pepino', a vast array of museums, and, above all, the Shroud of Christ that attracts countless tourists to the Cathedral of St. John the Baptist, transform Turin into a city that is both alluring and interesting.

Turin hosts several music and theatre festivals, and the city's renowned opera theatre consistently presents an exceptional program throughout its season. The Teatro Regio di Torino, established in 1740, is among the world's oldest. Despite suffering a catastrophic fire in 1936, the theatre continues to stand proudly in the city's main piazza. Its current appearance, featuring a modern red hall designed by the architect Carlo Mollino, contrasts starkly with the antique interior where Puccini's *La Bohème* once premiered.



საბალეტო დასი
TEATRO REGIO TORINO-ში
THE BALLET COMPANY IN
TEATRO REGIO TORINO

საბალეტო დასი შვებულებით, ტურინის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი: სასიამოვნო იყო ამ პროექტზე ორ თეატრს შორის ერთობლივი მუშაობა. თქვენი „მაკნატუნა“ განსაკუთრებით ლამაზი სპექტაკლია და მინდოდა ტურინში ჩამომეტანა. ასეთი „მაკნატუნა“ ჩვენ მაყურებელს არასდროს უნახავს. მაგრამ ასევე გვინდოდა ისეთი შოუ გავგვეკეთებინა, სადაც ჩვენი თეატრის გუნდსაც ჩავრთავდით. ამ პროექტზე საუბარი როცა დავიწყეთ, ვთქვით, რომ ეს იქნებოდა „კარმინა ბურანა“. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა იდეა იმდენად საინტერესოდ მიიჩნია, რომ ერთობლივი პროექტი შედგა და მაყურებლის რეაქციიდანაც ცხადი გახდა, რომ მოეწონათ ეს შოუ, თქვენი მსახიობების ცეკვა.

ტურინის თეატრის ორკესტრს თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი ზაზა აბმაიფარაშვილი დირიჟორობდა.

„კარმინა ბურანას“ წარმოდგენა მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტით, რომ პროექტის პროდიუსერებმა სოლო

The State Ballet of Georgia toured this theatre in December 2022. The program included the contemporary ballet—scenic cantata *Carmina Burana*, and Tchaikovsky's *The Nutcracker*.

The international project of *Carmina Burana* featured the Turin Opera Orchestra and Choir, along with their counterparts from the State Ballet of Georgia.

The project idea was conceived by Sebastian Schwartz, the Artistic Director of the Turin Theatre.

SEBASTIAN SCHWARTZ, Artistic Director of the Turin Opera: “It was an absolute pleasure to embark on this joint project between the two theatres. Your interpretation of *The Nutcracker* is particularly stunning, and I was eager to bring it to Turin. Our audiences have never experienced *The Nutcracker* quite like this before. However, we also wished to stage a performance that involved our own theatre troupe as well. When we began discussing this project, *Carmina Burana* was our choice. Ms Nina Ananiashvili found the idea so intriguing that we



ვოკალური პარტიების შესასრულებლად ოდესის ოპერის თეატრის სოლისტები მოიწვიეს: ალინა ტკაჩუკი (სოპრანო), ვლადისლავ გორაი (ბარიტონი) და ბოგდან პანჩენკო (ტენორი).

ვლადისლავ გორაი, ოდესის ოპერის თეატრის სოლისტი: წარმოდგენა ძალიან კარგია. ეს შოუ მსოფლიოს ყველა ცნობილ სცენაზე უნდა იქნას წარმოდგენილი. ბედნიერი ვარ ამ წარმოდგენაში რომ ვმონაწილეობ საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან და ქართველ ხალხთან ერთად. უკრაინაში ძალიან რთული პერიოდი გვაქვს და ვიცი, რომ ქართველი ხალხი უკრაინას უჭერს მხარს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ და მთელი უკრაინა მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის.

ალინა ტკაჩუკი, ოდესის ოპერის თეატრის სოლისტი: საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან ერთად წარმოდგენაში მონაწილეობა სასიამოვნოა. ყოველთვის ვაფასებდი ქართველ ხალხს და ქართულ კულტურას, ბევრი საერთო გვაქვს. ამ წარმოდგენამ შესაძლებლობა მოგვცა ერთად გაგვეკეთებინა მეტი. როგორც უკრაინელი, დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ თქვენგან. დღევანდელ ვითარებაში მნიშვნელოვანია ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან და გვქონდეს უფრო მეტი გაცვლითი კულტურული პროექტები.

carried out this joint project. Judging from the audience's reactions, it's clear that they thoroughly enjoyed this performance and the captivating dance of your performers.”

The orchestra of the Turin Theatre was led by Zaza Azmaifarashvili, the Chief Conductor of the Tbilisi Opera House.

The performance of *Carmina Burana* was noteworthy because the project producers invited the Soloists from the Odessa Opera House to perform the solo vocal parts: Alina Tkachuk (soprano), Vladislav Goray (baritone), and Bogdan Panchenko (tenor).

VLADISLAV GORAY, Soloist from the Odessa Opera House: “The performance is outstanding. This show deserves to be presented on all renowned stages across the globe. I'm thrilled to participate in this performance alongside the State Ballet of Georgia and the people of Georgia. We're going through a challenging period in Ukraine, and I know that the Georgian people stand with us. We are always united, and all of Ukraine is grateful for your support.”

ALINA TKACHUK, Soloist from the Odessa Opera House: “It is a pleasure to participate in the performance with the State Ballet of Georgia. I have always appreciated the Georgian people and their culture. We have much in common. This performance has given us the oppor-

ილია ჯივოი
ILYA JIVOI





„კარმინა ბურანას“
პრემიერის შემდეგ
AFTER THE PREMIER OF
CARMINA BURANA

„კარმინა ბურანას“ პრემიერა თბილისის ოპერის თეატრში 28 ოქტომბერს შედგა. 4 დეკემბრიდან კი ბალეტი ტურინის თეატრის სცენაზე ექვსჯერ იქნა წარმოდგენილი.

ნინო ანანიაშვილი: ვთვლი, რომ გასტროლმა ძალიან წარმატებულად ჩაიარა. მოხარული ვარ, რომ გვექონდა შესაძლებლობა საერთო პროექტი გაგვეხორციელებინა. სპექტაკლში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ოდესის თეატრის სოლისტებიც, უკრაინიდან. საერთო ატმოსფეროს შექმნაში მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ეს იყო საერთ-შორისო, რამდენიმე თეატრის მიერ განხორციელებული პროექტი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რობერტო ჯოვანარდის (Roberto Giovanardi) და კომპანია „RGE“-ს გასტროლის ორგანიზაციისთვის, რომელმაც ეს ყველაფერი ჩაიფიქრა და განახორციელა.

„კარმინა ბურანას“ შემდეგ საბალეტო დასი ტურინის ოპერის თეატრის სცენაზე ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ 12 სპექტაკლი ანშლაგებით გამართა.


tunity to collaborate more closely. As a Ukrainian, I feel tremendous support from you. In our current situation, it is crucial for us to stand together and engage in more cultural exchange projects.”

Carmina Burana premiered at the Tbilisi Opera Theatre on October 28, 2022. From December 4 onward, the ballet has been performed six times on the stage of the Turin Theatre.

Nina Ananiashvili: “I believe the tour was a tremendous success. I am delighted that we had the opportunity to carry out this joint project. The soloists from the Odessa Theatre in Ukraine joined us for the performance, making a substantial contribution to the overall atmosphere. This was an international project involving several theatres. I would like to express my gratitude to Roberto Giovanardi and the company RGE for their outstanding organization of the tour. They conceptualized and executed it brilliantly.”

Following their performance of *Carmina Burana*, the State Ballet of Georgia presented twelve sold-out shows of Tchaikovsky's *The Nutcracker* at the Turin Opera House, each playing to a full house.





პოპულარული ჟურნალი "Danseur" (European Dance News) 2023 წლის იანვრის ნომერში აქვეყნებს რეცენზიას ტურინის თეატრში (Teatro Region Turno) თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის გასტროლის და „კარმინა ბურანას“ წარმოდგენის შესახებ.

სტატიის ავტორი, ბალეტის ცნობილი კრიტიკოსი მიშელ ოდინი მაღალ შეფასებას აძლევს ილია ჟივოის თანამედროვე ბალეტს „კარმინა ბურანა“, რომელიც ტურინში წარმოდგინა საბალეტო დასმა.

The popular magazine *Danseur* (European Dance News) featured a review of the State Ballet of Georgia's tour and their performance of *Carmina Burana* at the Teatro Regio di Torino in its January 2023 issue.

The renowned ballet critic, Michel Odin, penned the article, bestowing high praise on Ilya Jivoy's contemporary ballet *Carmina Burana*, as performed in Turin by the State Ballet of Georgia.



„კარმინა ბურანა“

CARMINA BURANA

მიშელ ოდინი
MICHEL ODIN

*Danser. European
Dance News. #401.
Janvier 2023*

ყოველთვის არსებობს მისტერიული „რალაც“, რომელიც თბილისის ბალეტისკენ გვიზიდავს. ქვეყნის სილამაზე, ქართველების თავაზიანობა, მოცეკვავეების ბრწყინვალეობა მუდამ გვითვალისწინებს კომფორტულად „შინ“ ყოფნის შთაბეჭდილებას, რომელსაც საიდუმლოდ ვინახავთ, რათა არასასურველი სტუმრების შემოჭრისგან დავიცვათ თავი. უპირველეს ყოვლისა, ამის მოთავე გახლავთ

There's always this mysterious 'je-ne-sais-quoi' that draws us to the Tbilisi ballet. The beauty of the country, the warmth of the Georgians, and the excellence of the dancers consistently give us the comforting impression of being at 'home,' a secret haven we strive to shield from intruders. Above all, there is Nina Ananiashvili, the Director of the State Ballet of Georgia. No one could have anticipated that such a unique Étoile, the most dazzling of her time in the collective memory of dance, would lead the Ballet Company with such gentleness, intelligence, and skill. The State Ballet of Georgia has been invited to perform at the *Royal Theatre of Turin*, with six performances of *Carmina Burana* and ten performances of *The Nutcracker* scheduled through December 23.

This presents a wonderful opportunity to return to the capital of the kings of Piedmont-Sardinia, where one frequently encounters Savoyards at the Teatro Regio, who have journeyed alone or in groups because there is neither opera nor ballet in Savoy.

Carmina Burana is a brand new production that premiered in Tbilisi on October 28th this year.

Like many, I have held unfavourable memories of *Carmina Burana*, as choreographers often drown us in the noise of the drums („zim boum-boum“) but I was certain that it would be quite different with Ilya Jivoy. This cho-



ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი. ვერასდროს ვერავინ წარმოიდგენდა, ცეკვის კოლექტიურ მემსიერებაში თავისი დროის განსაკუთრებული, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კომპანიის ხელმძღვანელობას ასეთი სიმშვიდით, გონიერებითა და კომპეტენტურობით თუ შეძლებდა. მისი საბალეტო დასი მიწვეული იყო ტურინის სამეფო თეატრში, 23 დეკემბერამდე „კარმინა ბურანას“ ექვსი და „მაკნატუნას“ ათი წარმოდგენის ჩასატარებლად.

ეს არის პიემონტ-სარდინიის მეფეთა დედაქალაქში დაბრუნების შესანიშნავი შესაძლებლობა, სადაც სამეფო თეატრში ყოველთვის შეხვედებით მარტო ან ჯგუფად ჩამოსულ სავოიელებს, რადგან სავოიაში არც ოპერაა და არც ბალეტი.

„კარმინა ბურანა“ სულ ახალი ნამუშევარია, რომლის პრემიერა თბილისში ამა წლის 28 ოქტომბერს შედგა.

„როგორც ყველას, მეც ცუდი მოგონებები მაქვს კარმინა ბურანასგან, რადგან ქორეოგრაფების ხედვა სისტემატიურად დოღების ხმაურში გვირავდა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ილია ჟივოისთან ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ამ ქორეოგრაფს ისეთი ინდივიდუალიზმი აქვს, რომ ყოველთვის გვაოცებს. ის გახლავთ მოულოდნელობის სპეციალისტი და ბოლოს და ბოლოს, რას ეძებს მაყურებელი თუ არა მოულოდნელობას, იმ

reographer possesses such a unique personality that he never ceases to surprise; he is a master of the unexpected. After all, isn't it the element of surprise that audiences seek, provided it is of the highest quality, of course?

With precision, intelligence and refinement, with the meticulousness and stubbornness of a panther who makes his lodging comfortable, Ilya Jivoy has thoroughly constructed 25 different short choreographies, for each sequence of the score.

Above all, Jivoy managed to collaborate seamlessly with conductor Zaza Azmaiparashvili well in advance, ensuring the score was played and sung with a certain light, lyrical, and dare we say, rustic charm that enhanced our reception and understanding of the hard-to-decipher lyrics. Jivoy himself designed the stage setup with a moving decoration at the back of the stage. Above it, a six-meter diameter circle, possibly symbolizing a wheel of fortune is adorned with a double row of hidden projectors that shift in various ways throughout the performance. This is very simple, the impact caused by these changes is theatrical, yet hardly noticeable as the choreography is captivating. From the very first song, 'O Fortuna', the tone is set. Twenty-four dancers grace the rhythms with 'port de bras', showcasing a tenderness that demands strong technique. Men dance solo, and then they are joined by women, forming couples.



პირობით, რომ ეს ბუნებრივად საუკეთესო ხარისხის უნდა იყოს.

დელიკატურობით, გონიერებითა და დახვეწილობით, ზედმიწევნითი სიზუსტით და ავაზის სიჯიუტით, რომელიც საკუთარ საცხოვრებელს კომფორტულად აქცევს, ილია ჟივოიმ ზედმიწევნით ააგო 25 განსხვავებული მოკლე ქორეოგრაფიული ნაწილი პარტიტურის თითოეული ეპიზოდისთვის.

უპირველეს ყოვლისა, მან შეძლო დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილთან წინასწარ კარგად შეთანხმება, ისე, რომ პარტიტურა ერთგვარი მსუბუქი, თამამად ვიტყვი ამ სიტყვას, ბუკოლიკური ლირიკულობით ეთამაშათ და ემღერათ, რომლის შედეგადაც ბევრად უფრო უკეთესი მიმღებლობა გვაქვს რთულად გასაგები ტექსტების მქონე სიმღერებისადმი. ილია ჟივოიმ თავად დააპროექტა სცენა, მოძრავი დეკორაცია სცენის სიღრმეში; ზემოთ, ექვსი მეტრი დიამეტრის წრე, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ბედის ბორბლის სიმბოლოდ, მის გარშემოწერილობაში დამალული პროექტორი ორმაგი რიგით, რომელიც სპექტაკლის დროს სხვადასხვანაირად ადის ან ქვემოთ ეშვება. ეს ძალიან მარტივია, ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი თეატრალურია, მაგრამ ძლივს შესამჩნევია, რადგან ქორეოგრაფია სჯაბნის მას. 24 მოცეკვავის ხავერდოვანი პორ დე ბრა

Spring is symbolized by three ballerinas in long skirts. Again beautiful 'port de bras', that one can see only in Tbilisi. Alina Somova-Avsadzhnashvili and Oscar Frame astonish us with technically challenging moves that will leave a mark in dance history.

The rendition of 'Ecce Gratum' introduces a refreshing new way to showcase the corps de ballet; it's novel, fun. Papuna Kapanadze and Mari Elo capture hearts with their spectacular pas de deux, unfortunately, there are no photos. Kaito Hosoya's dazzling solo performance earns resounding applause.

On stage, Jivoy skilfully integrates singers, dancers, and both adult and children's choirs. He creates tender arm movements and processions of ballerinas in red dresses, forming a beautiful and touching anticipation of spring. This closeness to nature was previously evident in 'The Four Seasons' at the Peralada festival.

From start to finish, the piece maintains stylistic coherence yet is comprised of a vast array of choreographic ideas, Jivoy's works are never monotone, always presenting something unexpected and unique.

Each small piece of Ilya Jivoy's choreographic mosaic, each simple, elegant, delightful movement of dancers', each adventurous choreographic variation together form

სიმღერის რიტმებს არბილებს და მათ ბრწყინვალე ტექნიკაზე შეტყვევლებს, სიმტკიცით სავსე პორ დე ბრებით, რაც ძლიერ ტექნიკას მოითხოვს; ბიტები ჯერ მარტო ცეკვავენ, შემდეგ მათ გოგოები უერთდებიან და წყვილდებიან.

გაბაფხულის მოსვლას სიმბოლურად ასახიერებს სამი ბალერინა, გრძელ ქვედაბოლოებში. კვლავ ლამაზი პორ დე ბრა, რომლის ნახვაც მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი. ალინა სომოვა-ავსაჯანაშვილი და ოსკარ ფრეიმი გვაოცებენ ტექნიკურად რთული მოძრა-

the outstanding fresco of *Carmina Burana*. As a spectator, taking a step back leads to profound awe.

When the curtain falls, the audience is not merely excited but deeply moved, provoking endless applause.

Penned in the 13th century by monks looking for diversion, eight centuries later, with genius, Ilya Jivoy turns these games into meditations on life's final chapters in the most natural way, without pretension or a crass attempt to give a philosophical lesson like some lesser



ობების შესრულებით, რომლებიც ცეკვის ისტორიულ ანალებში შევა.

სიმღერა Ecce Gratum გასაოცარი ახალი საშუალებაა კორდებალეტის უკეთ წარმოჩენისათვის. ეს არის სასიამოვნო სიახლე. პაპუნა კაპანაძე და მარი ელო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ თავიანთი სანახაობრივი პა დე დეთი. კაიტო ჰოსოია კამკაშებს თავბრუდამხვევ სოლო ვარიაციაში, რასაც მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვება.

choreographers. Ilya beckons us through the sheer power of beauty in motion, the undefinable purity of dance. Yes, such beauty is exceptional, so rare. Let's await Ilya's next creations.





სცენაზე, ილია ჟივოი გამჭრიახობით ანაცვლებს ერთმანეთს მომღერლებს, მოცეკვავეებს, მოზრდილთა და ბავშვთა გუნდებს. ის ახერხებს საკმაოდ ნაბი ეფექტების მიღწევას ხელების მოძრაობაში, წითელ კოსტიუმებში გამოწყობილი ბალერინების მსვლელობაში, რომლებიც მშვენიერი და ამაღლებელი გაზაფხულის მათუწყებლები არიან. ბუნებასთან ასეთი სიახლოვე ჩვენ უკვე შევამჩნიეთ ბალეტში „ოთხი სეზონი“ პერალადას ფესტივალზე.

წარმოდგენის დასაწყისიდან დასასრულამდე, სტილის ჰომოგენურობა სახეზეა, მაგრამ იგი შედგება ძალიან მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული იდეებისგან, არასოდეს ჟივოის ნამუშევარში არაფერია მონოტონური, ხან რაღაც სიახლე, ხან კი რაღაც მოულოდნელი მიგნება გვაოცებს.

ილია ჟივოის ქორეოგრაფიული მოზაიკის ყოველი პატარა დეტალი, მოცეკვავეების ყოველი მარტივი,

ელეგანტური და ლამაზი მოძრაობა, ყოველი სარისკო და თამამი ქორეოგრაფიული ვარიაცია ქმნის „კარმინა ბურანას“ შესანიშნავ ფრესკას, რომელიც მაცურებელს ღრმა მღელვარებაში აგდებს.


როდესაც ფარდა ეშვება, მაცურებელი არ არის აღგზნებული, მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობს დაგროვილ ემოციურ ენთუზიამს, რაც იწვევს დაუსრულებელ აპლოდისმენტებს.

XIII საუკუნეში ამ ტექსტების დაწერისას ბერებს თავის შექცევა სურდათ. რვა საუკუნის შემდეგ კი, ილია ჟივოიმ გენიალურად მოახერხა ამ თამაშების მედიტაციებად გარდაქმნა ყველაზე ბუნებრივი გზით, ყოველგვარი პედანტურობის გარეშე, პრეფექტურებში მოდური მეწვრილმანე ქორეოგრაფების მსგავსად, ფილოსოფიის გაკვეთილის ჩატარების ვულგარული სურვილის გარეშე. ილია შორიდან გვიხმობს მხოლოდ ჟესტის მშვენიერების ძალით, ცეკვის ენის გამოუთქმელი სიწმინდით. დიახ, ასეთი სილამაზე განსაკუთრებულია, იშვიათია. მოდით დაველოდოთ ილია ჟივოის ახალ ბალეტებს.



სიზმრები იაპონიაზე

DREAMS ABOUT JAPAN



თათია ბუხრაშვილი
TATIA BUKHRASHVILI

2022 წლის 13 და 14 ნოემბერს
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში
საქართველო-იაპონიის დიპლომატიური
ურთიერთობის 30 წლის იუბილე აღინიშნა.

On 13th and 14th November 2022,
the Tbilisi Opera and Ballet Theatre hosted celebrations
for the 30th anniversary of diplomatic relations between
Georgia and Japan.

იაპონელმა მუსიკოსმა ლეონარდ ეტომ, რომელიც
ნიუ-იორკში დაიბადა, მთელი ცხოვრება იაპონური
დასარტყამი ინსტრუმენტების შესწავლას მიუძღვნა.
ამომავალი მზის ქვეყნის ფოლკლორი ეტომ საკუთარი
ინტერპრეტაციითა და მისთვის დამახასიათებელი ქა-
რიზმით, 55-ზე მეტ ქვეყანაში წარადგინა. ეს საოცარი
რიტმები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში
ქართულ-იაპონურ საღამოებზე შესრულდა.

Leonard Eto, a Japanese musician born in New York, has
dedicated his entire life to mastering Taiko - Japanese
percussion instruments. With his unique charisma and
personal interpretation, Eto has showcased the folklore
of the Land of the Rising Sun in over 55 countries. His in-
credible rhythms were a highlight of the Georgian-Japa-
nese evenings at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

ნინო სამადაშვილი.
„სიზმრები იაპონიაზე“
NINO SAMADASHVILI.
DREAMS ABOUT JAPAN

Arabesque N33 117





მარი მუტო და კაიტო ჰოსოია.
 „სიზმრები იაპონიაზე“
 MACHI MUTO AND KAITO HOSOYA.
 DREAMS ABOUT JAPAN

„უძველესი დროიდან იაპონელ ხალხს ბუნების წინაშე შიშის გრძნობა ჰქონდა, – გვეუბნება ლეონარდ ეტო. ამიტომაც ჩვენ ვატარებდით ფესტივალებს და ვლოცულობდით უხვი მოსავლისა და ჯანმრთელობისთვის. ფესტივალების პროგრამის ძირითად ნაწილს შეადგენდა იაპონური ტაიკო და ცეკვა. მე ვაგრძელებ კომუნიკაციას ჩემი მუსიკით იმ ადამიანებთან, რომლებიც განსხვავებული ღირებულებების მატარებლები არიან, ვეძებ იმას, რაც ჩვენ საერთო გვაქვს და ამას მუსიკისა და წარმოდგენის ფორმით ვაკეთებ“.

ტაიკოს ანსამბლი ლეონარდ ეტომ 1984 წელს დააარსა და როგორც მისი მუსიკალური ხელმძღვანელი, ასრულებდა და ქმნიდა მუსიკას იაპონური დრამის ჯგუფისთვის „კოდო“. 1992 წელს ეტომ „კოდო“ დატოვა და სოლო კარიერა გააგრძელა. მანამდე კი უკრაინელი ქორეოგრაფის ალექსეი რატმანსკის თანამედროვე ბალეტის „სიზმრები იაპონიაზე“ მუსიკალური პარტიტურა სწორედ ანსამბლ „კოდოს“ მუსიკოსების მიერ შექმნილი კომპოზიციებისაგან შეადგინა.

ლეონარდ ეტო: „ტაიკო არის იაპონური დასარტყამი ინსტრუმენტი და მასზე დაკვრით დაკავებული ვარ დაახლოებით 40 წელია. თავიდანვე დაინტერესებული ვიყავი სხვადასხვა კოლაბორაციით; აი, თუნდაც ისეთით, როგორც დასარტყამი ინსტრუმენტის და

“Since ancient times, the Japanese people have felt a sense of awe in the face of nature,” shares Leonard Eto. “That’s why we have celebrated festivals, prayed for bountiful harvests and for good health. The festival program primarily featured Japanese Taiko and dance. I persist in communicating through my music with individuals who embrace diverse values, seeking our common ground and expressing it through the medium of music and performance.”

In 1984, Leonard Eto founded the Japanese Taiko drum group Kodo and served as its musical director, dedicating himself to composing and playing Taiko for the group. In 1992, Eto left Kodo to pursue his solo career. However, before this, he composed the score for Ukrainian choreographer Alexei Ratmansky’s modern ballet Dreams About Japan from compositions created by the musicians of this very group, Kodo.

Leonard Eto: “Taiko is a Japanese percussion instrument, and I have been playing it for around 40 years. I have always been fascinated by various collaborations, including those between a percussionist and a dancer. That’s how I got in touch with Ms. Nina Ananiashvili, and together we conceived the idea of staging a joint performance.”



მოცეკვავის კოლაბორაციაა. ასე დავუკავშირდი ქალბატონ ნინო ანანიაშვილს და გაგვიჩნდა საერთო წარმოდგენის გაკეთების იდეა“.

კაბუკის თეატრის ოთხი განთქმული პოეტური პიესის „სიო საგატოს“ მოტივებზე ბალეტის იდეა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის. „ამომავალი მზის ქვეყანაში“ გასტროლის დროს, არაერთხელ ვიყავი კაბუკის თეატრში, – 25 წლის ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს ნინო ანანიაშვილი. იმ დროიდან მუდმივად მაწუხებდა კითხვა: განა არ შეიძლება ამის ბალეტში გაკეთება?“.

იდეა პრიმა-ბალერინამ ალექსეი რატმანსკის გაანდო. „მისი ნამუშევარი ვნახე და ვიფიქრე, რომ ის დანარჩენი ახალგაზრდა ქორეოგრაფებისგან განსხვავებულად მუშაობდა, – იხსენებს ნინო ანანიაშვილი. კულისებში შევხვდი, ვისაუბრეთ, მეორე დღეს კი შინ მესტუმრა და შევთავაზე ჩემი მომავალი გალა სპექტაკლისთვის, რომელიც იანვარში გაიმართებოდა, რაიმე ახალი დაეძგა; შემდეგ კი ჩამოვუთვალე არტისტები რომლებთან ერთადაც მსურდა მისი ნამუშევრის შესრულება: ტატიანა ტერეხოვა, ალექსეი ფადეეჩევი, სერგეი ფილინი. რატმანსკი გაოგნებული იყო, როდესაც შეიტყო, რომ დადგმა ჩვენი ოთხეული-სათვის მოუწევდა. მოგვიანებით გამოტყდა კიდევ,

The idea of the ballet, based on motifs from the four renowned poetic plays of Kabuki Theater, Sio Sagato, belongs to Nina Ananiashvili. “During my tours in the 'Land of the Rising Sun', I frequented the Kabuki theatre,” recounts a 25-year-old Nina Ananiashvili in an interview with one of the newspapers. “Since then, a persistent question has intrigued me: could this be translated into ballet?”

The Prima Ballerina shared this idea with Alexei Ratmansky. “I saw his work and realized he approached choreography differently than other young creators,” recalls Nina Ananiashvili. “We met backstage, had a conversation, and the next day he visited me at my home suggesting that we create something novel for my upcoming gala performance in January. I then listed the artists I wanted to perform his work: Tatiana Terekhova, Alexey Fadeechev, and Sergey Filin. Ratmansky was taken aback to learn he'd be creating for our foursome. He later confessed that his knees were shaking as he entered the rehearsal hall. I believe he delivered an outstanding ballet.”

The ballet, unique in its avant-garde take on the theme of Kabuki theatre, a tradition established in Kyoto in 1603, premiered in Moscow in 1997. In Tbilisi, it was premiered



ბაპუნა კაპანაძე.
„სიზმრები იაპონიაზე“
PAPUNA KAPANADZE.
DREAMS ABOUT JAPAN



რომ დარბაზში შემოსვლისას მუხლები უკანკალებდა. ვფიქრობ, მან ბრწყინვალე ბალეტი დადგა“.

კიოტოში 1603 წელს დაფუძნებული ავანგარდული და არასტანდარტული კაბუკის თეატრის თემატიკაზე დადგმული ბალეტის პრემიერა ჯერ მოსკოვში გაიმართა 1997 წელს, თბილისში კი პრემიერა 2004 წლის ნოემბერს შედგა. წლების შემდეგ „სიზმრები იაპონიაზე“ კვლავ დაბრუნდა სცენაზე.

ერთმოქმედებიან ბალეტთან ერთად, ქართულ-იაპონურ საღამოზე, რომელსაც მუსიკალურად ლეონარდ ეტო და მისი მეგობარი მუსიკოსები აფორმებდნენ, იაპონელი მუსიკოსების პროგრამას ცალკე განყოფილება დაეთმო. შემდეგ კი ლეონარდ ეტო, რიუტარო კანეკო, მასაიუკი საკამოტო, რიიჩი იამაუჩი, იასუჰირო იოშიმურა დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ საბალეტო დასის ახალი თაობის შვიდი მოცეკვავისთვის, რომლებიც პირველად ცეკვავდნენ რატმანსკის ბალეტს „სიზმრები იაპონიაზე“.

კოდოს პირველივე დარტყმიდან მოცეკვავეები ტემპში იწყებენ მოძრაობებს და ტრელი – წითელი, მწვანე და ყვითელი კიმონოებით შემოსილნი ასრულებენ კაბუკის ოთხი პიესის მოტივებზე დადგმულ ბალეტს.

პირველ სოლოს „ქალწული წერო“, თეთრ ტუნიკაში ჩაცმული ეფე ბურაკი ცეკვავს (მეორე დღეს ამ როლს პაპუნა კაპანაძე ასრულებდა), მკვეთრი ფორმითა და რიტმით, ამავედროულად – დელიკატურობით და სისათუთით.



ნინო
მახაშვილი.
„სიმბრები იავონიაზე“
NINO
MAKHASHVILI.
DREAMS
ABOUT JAPAN



მაჩი მუტო.
„სიმბრები იავონიაზე“
MACHI MUTO.
DREAMS ABOUT JAPAN

on November 6, 2004. Years later, Dreams about Japan returned to the stage.

Alongside the one-act ballet, the Japanese musicians performed at the Georgian-Japanese evening directed by Leonard Eto and his colleagues. Subsequently, Leonard Eto, Ryutarō Kaneko, Masayuki Sakamoto, Riichi Yamauchi, and Yasuhiro Yoshimura provided percussion accompaniment for the seven emerging ballet dancers

performing Ratmansky's Dreams about Japan for the very first time.

With the first beat of the Kodo, the dancers begin to move in rhythm. Clad in vibrant kimonos of red, green, and yellow, they perform a ballet inspired by four Kabuki plays.

Efe Burak, clad in a white tunic, performs the first solo of the Heron Maiden (Papuna Kapanadze performs the next



ნინო სამადაშვილი, მარიამ ელოშვილი.
„სიმბრები იავონიაზე“
NINO SAMADASHVILI, MARIAM ELOSHVILI.
DREAMS ABOUT JAPAN



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და იამამურა აკირა THEA TSULUKIANI, MINISTER OF CULTURE, SPORT AND YOUTH OF GEORGIA AND IMAMURA AKIRA, AMBASSADOR OF JAPAN IN GEORGIA

ნინო ანანიასვილი და იამამურა აკირა NINA ANANIASHVILI AND IMAMURA AKIRA, AMBASSADOR OF JAPAN IN GEORGIA

წითელ, მბრწყინავ კომბინიზონში გამოწყობილი ნინო სამადაშვილი (მეორე სპექტაკლზე – ალინა სომოვა), ერთ ხელზე წითელი, ერთზე კი შავი ხელთათმანით, ქალ-გველს განასახიერებს და საკუთარ მსხვერპლს თხელ შარფში ახვევს. ენერგიულად ასრულებს „ლომის ცეკვას“ ანდრი ჰავრილიუკი. ბალეტის ბოლო ათი წამის განმავლობაში შვიდივე მოცეკვავე (დასახელებულბებთან ერთად მარიამ ელოშვილი (მაჩი მუტო), რუიკა იოკოიამა (ნინო მახაშვილი), კაიტო ჰოსოია, დავით ანანიასვილი) გადამდებ ენერგეტიკას ავრცელებს სცენიდან. ერთი სიამოვნებაა ამ დადგმის ნახვა.

საიუბილეო საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იმამურა აკირა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოში იაპონიის საელჩოსა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

day), his form and rhythm sharp yet infused with delicacy and tenderness.

Nino Samadashvili (Alina Somova performs the next day), in her gleaming red jumpsuit and contrasting red and black gloves, incarnates the snake woman, ensnaring her victim with a thin scarf. Andrii Havryliuk delivers an engaging and vigorous "Lion Dance." In the ballet's final ten seconds, all seven dancers (with Mariam Eloshvili (Machi Muto), Ruika Yokoyama (Nino Makhashvili), David Ananiashvili, Kaito Hosoya) radiate an infectious energy from the stage. This production is indeed a joy to behold.

The anniversary evening was graced by the presence of Tea Tsulukiani, Minister of Culture, Sports and Youth of Georgia, Imamura Akira, the Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Japan to Georgia, Aleksandre Khvtisiashvili, Deputy Minister of Foreign Affairs of Georgia, members of the Georgian Parliament, representatives of the Embassy of Japan in Georgia, and members of the diplomatic corps accredited Georgia.

ნათია ჰიჯეიშვილის ფოტოები
PHOTOS BY KHATIA JJJEISHVILI



2022

საერთაშორისო საბალეტო კონფერენცია

24-26 თებერვალს, ამსტერდამში, ჰოლანდიის ნაციონალური ოპერისა და ბალეტის თეატრი, მასპინძლობდა მე-3 საერთაშორისო საბალეტო კონფერენციას "Positioning Ballet". ამსტერდამში შეიკრიბნენ მსოფლიოს წამყვანი საბალეტო კომპანიების სამხატვრო ხელმძღვანელები. კონფერენციაში მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელებმა განიხილეს ბოლოდროინდელი გლობალური გამოწვევების შემდგომი ურთიერთობების ხელახლა დამყარების საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება.

INTERNATIONAL BALLET CONFERENCE

From February 24-26, the Dutch National Opera & Ballet Theatre hosted the 3rd International Ballet Conference, "Positioning Ballet," in Amsterdam. Artistic directors from the world's leading ballet companies convened there. Nina Ananiashvili, Artistic Director of the Ballet Company of the Tbilisi State Opera and Ballet Theatre *participated in the conference.*

The directors discussed how to reconnect to the ballet network following recent global challenges and shared their experiences with each other.

2023

გასტროლი ბოლონიაში

იტალიაში, ქალაქ ბოლონიაში 4 და 5 მაისს (Bologna Exhibition Center -ში) თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა ლუდვიგ მინკუსის „დონ კიხოტი“ წარუდგინა მყურებელს. მთავარი პარტიები ნინი ხახუტაიშვილმა და კაიტო ჰოსოიამ (4 მაისი) და ნინო სამადაშვილმა და რაზმიკ მარუკიანმა (სომხეთის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის წამყვანი სოლისტი. 5 მაისი) იცეკვეს. Teatro Comunale di Bologna-ს ორკესტრს პაპუნა გვაბერიძე დირიჟორობდა.

TOUR IN BOLOGNA

On May 4 and 5, the Ballet Company of the Tbilisi Opera and Ballet Theatre performed Ludwig Minkus' *Don Quixote* at the Bologna Exhibition Centre in Bologna, Italy. The leading roles were danced by Nini Khakhutaishvili and Kaito Hosoya (May 4), and by Nino Samadashvili and Razmik Marukyan, the lead soloist of the National Theatre of Opera and Ballet of Armenia (May 5). The orchestra of Teatro Comunale di Bologna was conducted by Papuna Gvaberidze



DEBUT

On February 24, Nino Khahutashvili, a dancer in the Ballet Company, made her debut at the theatre as Kitri/Chelita in Ludwig Minkus's *Don Quixote*. She was partnered with the theatre's leading soloist, Kaito Hosoya. This also marked Kaito's first performance *in Don Quixote* on our theatre's stage.

დებიუტი

24 თებერვალს თეატრში ლუდვიგ მინკუსის „დონ კიხოტში“ შედგა საბალეტო დასის მსახიობის ნინი ხახუტაიშვილის დებიუტი ჩელიტას პარტიაში. მას პარტნიორობას უწევდა თეატრის წამყვანი სოლისტი კაიტო ჰოსოია. „დონ კიხოტში“ ჩვენი თეატრის სცენაზე ეს კაიტოსთვისაც პირველი გამოსვლა იყო.



28 თებერვალს კი თეატრში სომხეთის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის წამყვანი სოლისტი რაზმიკ მარუკიანი იყო მოწვეული, რომელმაც „დონ კიხოტში“ პარტნიორობა გაუწია თეატრის წამყვან სოლისტს ნინო სამადაშვილს.

On February 28, Razmik Marukyan, the leading soloist of the Armenian National Theatre of Opera and Ballet, was invited to our theatre. He partnered with Nino Samadashvili, the leading soloist of our theatre, in *Don Quixote*.



დებიუტი

28 მაისს კიდევ ერთი დებიუტი შედგა თეატრის სცენაზე. ამჯერად ადოლფ ადანის ბალეტში „ჟიზელი“ პირველად იცეკვეს წამყვანი პარტიები მარიამ ელოშვილმა და მასაკი გოტომ. სპექტაკლს პირველად დირიჟორობდა ლევან ჯაგაევი. ეს მანეროსთვის პირველი საბალეტო სპექტაკლი იყო.

DEBUT

On May 28, another debut was made on our theatre's stage. This time, Mariam Eloshvili and Masaaki Goto, in leading roles, performed *Giselle* Adolphe Adam's ballet for the first time. Levan Jagaev conducted the play for the first time. This was the first ballet performance for Maestro.



ყაზახი მოცეკვავეების გასტროლი



5 თებერვალს თეატრში გაიმართა „ასტანა ოპერის“ წამყვან სოლისტების, არაერთი საბალეტო კონკურსის ლაურეატების შუგილა ადეჰხანის და არმანურ აზოვის გასტროლი. ყაზახმა მოცეკვავეებმა წამყვანი პარტიები იცეკვეს „დონ კიხოტში“.

შუგილა ადეჰხან და არმანურ აზოვი „ასტანა ოპერის“ ბალეტის წამყვანი სოლისტები და არაერთი საბალეტო კონკურსის ლაურეატები არიან.

TOUR OF KAZAKH DANCERS

On February 5, the theatre welcomed a tour featuring leading soloists from Astana Opera, Shugila Adepkhan and Armanur Azov, winners of numerous ballet competitions. The Kazakh dancers performed the leading roles in *Don Quixote*.

საბალეტო დასის გაშვება

2023 წლის იანვრიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის გამგედ პედრო კარნეირო დაინიშნა, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს, როგორც პედაგოგს და როგორც პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლის დირექტორს. მისი ხელმძღვანელობით, სკოლამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

MANAGER OF THE STATE BALLET OF GEORGIA

From January 2023, Pedro Carneiro has been appointed Manager of the State Ballet of Georgia at the Tbilisi State Opera and Ballet Theatre. Pedro has a lot of experience as a teacher and as the Portuguese National Conservatory Dance School Director. Under his direction, the school has gained international recognition.

ქართული ბალეტი ამერიკაში


THE GEORGIAN BALLET IN THE UNITED STATES

ილია თავბერიძე
ILIA TAVBERIDZE

ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის არტ ცენტრში, რომელიც 2000 კაცს იტევს, ქართული ბალეტი პირველ საგასტროლო სპექტაკლს ატარებს. პროგრამაშია ჯორჯ ბალანჩინის ორი ბალეტი – „სერენადა“ და „კონჩერტო ბაროკო“. დასი იური პოსოხოვის „საგალობელს“, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ერთგვარ სავიზიტო ბარათს შესთავაზებს მაყურებელს, რომელსაც ქართული ბალეტი თითქმის ყველა საზღვარგარეთულ გასტროლზე წარმოადგენს.

ბალანჩინის ცეკვა ამერიკაში საპასუხისმგებლოა და რთული, რადგან ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის, ქართული წარმოშობის ჯორჯ ბალანჩინის სახელს აქ განსაკუთრებულად უფრთხილდებიან და აფასებენ. მაგრამ, გასტროლის პროდიუსერი ოფერ ზაკსი სხვაგვარად ფიქრობს: „როდესაც უცხოური საბალეტო დასი ამერიკაში ჩამოდის და ბალანჩინის ბალეტები ჩამოაქვს, პირველი რაც შეიძლება აქ თავში მოუვიდეთ არის ის, რომ ჩვენ გვაქვს „ნიუ-იორკ სითი ბალე“, დიდებული საბალეტო დასები, რატომ უნდა წარმოადგინოს უცხოურმა დასმა იგივე. ჩემი პასუხი იქნებოდა: „კეთილი, მოიცადეთ, ვიდრე მოცეკვავეებს ნახავთ, რადგან ამას ისინი განსხვავებულად აკეთებენ“. იმას, რომ ბალანჩინი წარმოშობით ქართველი იყო, ნამდვილად აქვს ასახვა იმაზე, თუ როგორ წარმოაჩენენ მას ქართველები“.

„ძალიან სასიხარულოა რომ ჩამოვედით ახალი პროგრამით, მაგრამ ასევე არის სანერვიულოც.



STATE BALLET OF GEORGIA
Mostly B

Experience the sleek grace and physicality of neoclassical ballet with the State Ballet of Georgia in a program of works by George Balanchine and Ukrainian choreographer Yuri Possokhov. Led by the renowned Nina Ananiashvili, a native of Georgia and a former Bolshoi prima ballerina, Ananiashvili has revitalized the State Ballet of Georgia, attracting major choreographers from all over the world. Their debut program at the Center for the Arts features two works by famed 20th-century Georgian American choreographer George Balanchine including *Serenade*, set to music by Tchaikovsky, and *Concerto Barocco*, set to J.S. Bach's *Concerto in D minor* for two violins. The impeccably precise dancers of this company also bring Georgian folk melodies to life in *Sagalabeli* by Ukrainian choreographer Yuri Possokhov. Referencing the company's 2011 tour, *The Washington Post* said, "Ananiashvili and her company are practicing diplomacy through dance—a great and hopeful gift."

Saturday, April 15 at 8 p.m.
 \$60, \$51, \$36
 Half-price for youth through Grade 12

703-993-2787 CFA.GMU.EDU TICKET OFFICE
 TUES.-SAT., 10 A.M. TO 6 P.M.

Center for the Arts
 GEORGE MASON UNIVERSITY

For information about current health and safety protocols at the Center for the Arts, visit cfa.gmu.edu/expect.

ვფიქრობ, ამ შესაძლებლობას კარგად გამოვიყენებთ და ვაჩვენებთ ამერიკელ მაყურებელს როგორ შეგვიძლია შევასრულოთ ბალანჩინი“ - განუცხადა ნინო ანანიაშვილმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას გასტროლის დასაწყისში.

ქართულმა ბალეტმა ბალანჩინის პროგრამა პირველად ამერიკაში 2007 წელს ჯეიკობს ფილოუს ფესტივალზე, ერთი წლის შემდეგ კი ნიუ-იორკში, ბრუკლინის მუსიკალურ აკადემიაში წარადგინა. გასტროლი ქართული ბალეტის სათავეში ნინო ანანიაშვილის მოსვლიდან სამი წლის თავზე შედგა. მაშინ „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა: „ანანიაშვილის მუშაობის შედეგად, ქართული საბალეტო დასის მოცეკვავეებმა აიმაღლეს საშემსრულებლო ტექნიკა. მათი ცეკვის სტილი მოკლებულია ხელოვნურობას და პომპეზურობას, რაც კიროვისა და „ბოლშოი“ თეატრების მოცეკვავეებს ახასიათებთ. ქართული საბალეტო დასის მოცეკვავეები ტექნიკურად საკმაოდ ძლიერნი არიან“.

ახლანდელი გასტროლი კი ამერიკაში რიგით მეექვსეა, რომელიც ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით ტარდება. ამ ფაქტს კვლავ არ ტოვებს უყურადღებოდ „ნიუ იორკ თაიმსი“. 14 აპრილის ნომრის არტ განყოფილების პირველ გვერდზე პრიმა-ბალერინას პორტრეტა გამოქვეყნებული. „ისინი მე გაგზარდეს“. ნინო ანანიაშვილის ქართველი მოცეკვავეები ქალაქში ჩამოდიან“ - წერს გაზეთი მსოფლიოში ცნობილ

The Georgian Ballet is holding its inaugural performance of this tour at George Mason University's Center for the Arts, a venue that can accommodate 2000 people. The program includes two ballets by George Balanchine – *Serenade* and *Concerto Barocco*. The Company will also present Yuri Possokhov's *Sagalabeli*, a signature piece of the State Ballet of Georgia almost always included on international tours.

Performing Balanchine's ballets in America is a daunting task, given that George Balanchine, the founder of American ballet and of Georgian origin, is held in high esteem here. However, tour producer Offer Zaks sees it differently: “When a foreign ballet company comes to America presenting Balanchine's ballets, it's often asked why we need a foreign company when we have the New York City Ballet and other outstanding companies. My response is,” just wait until you see the dancers, because they interpret it differently.” The fact that Balanchine was originally from Georgia reflects in how Georgians present his work.

“It is exciting to arrive with a new program,” Nina Ananiashvili, head of the Georgian Ballet, told the Georgian editors of *Voice of America* at the beginning of the tour. “However, it's also nerve-racking. I believe we will use this opportunity to show the American audience how well we can perform Balanchine.”

The Georgian Ballet first presented a Balanchine program in America at the Jacob's Pillow Dance Festival in 2007 and a year later at the Brooklyn Academy of Music in New York. This happened three years after Nina Ananiashvili took the helm of the Georgian Ballet. At that time, *The New York Times* wrote: “Presumably as a result of Ms. Ananiashvili's training, the Georgian company bears many of her own best dance virtues. These dancers show a clean, unshowy style with none of the flamboyance or exaggerations that have characterized many Kirov and Bolshoi dancers, and plenty of technical strength.”

This current tour is the sixth in America under Nina Ananiashvili's leadership, a fact that has not gone unnoticed by *The New York Times*. In the art section of the April 14, 2023, issue, Ananiashvili's portrait was featured on the first page. ‘I Raised Them!’ Nina Ananiashvili's Georgian Dancers Come to Town, wrote the newspaper about the world-famous ballerina who danced for 16 seasons at the American Ballet Theatre, on the stage of the Metropolitan Opera, and in 1988, was the first from the USSR to perform on the stage of Balanchine's Theatre.



ბალერინაზე, რომელმაც ამერიკის ბალეტის თეატრში, მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე, 16 სეზონი იცეკვა, 1988 წელს კი პირველი იყო სსრკ-დან, ვინც ბალანჩინის თეატრის სცენაზე გამოვიდა.

ამ თეატრში მაშინ ვერ კიდევ ცეკვავდნენ მისტერ ბის კომპანიის მოცეკვავეები – ბარტ კუკი და მარია კალეგარი. 2005 წლიდან, უკვე ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერებმა ბარტმა და მარიამ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მისტერ ბის ათი ბალეტი დადგეს.

ამერიკაში დასთან პირველ რეპეტიციებსაც, Center for the Arts is George Mason University-ის სარეპეტიციო დარბაზში, სწორედ ბარტ კუკი და მარია კალეგარი ატარებენ.

„ეს დასი ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, გვეუბნება ბარტ კუკი, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბალანჩინის მემკვიდრეობისთვის. თბილისი მისი სახლი იყო, მისი სისხ-

At that time, Bart Cook and Maria Calegari were still dancing in this theatre. Since 2005, already as ballet masters of the Balanchine Trust, they have staged ten ballets by Mr. B at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

The first rehearsals with the Georgian Ballet in America are also conducted by Bart Cook and Maria Calegari, in the rehearsal hall of the Centre for the Arts at George Mason University.

“This company is very dear to us,” Bart Cook tells us, “and it's very important to Balanchine's legacy. Tbilisi was his home, his blood is Georgian. He always said – 'I am not Russian, I am Georgian.' We love Georgian people more also because we knew Mr. B. From him, we learned strength and musicality, which are inherent in this country. The spirit of victory – that is Mr. Balanchine, and this spirit is in his ballets. It is always an honor to work with young Georgian dancers. In the '70s, during our tour in the USSR, we went to Tbilisi and danced there.



შახვედრა ღმერთის ოპერაში
MEETING AT THE DETROIT OPERA



ნინო ანანიაშვილი და ოფერ ზაკსი
NINA ANANIASHVILI AND OFFER ZAKS

ლი ქართულია. ის ყოველთვის ამბობდა, რომ მე არ ვარ რუსი, ქართველი ვარ. ჩვენ ქართველი ხალხი უფრო მეტად გვიყვარს იმის გამოც, რომ ჩვენ ვიცნობდით მისტერ ბის. მისგან ვისწავლეთ სიმტკიცე, მუსიკალობა, რაც თანდაყოლილი აქვთ ამ ქვეყანაში; გამარჯვების სულისკვეთება – აი, ეს არის ბატონი ბალანჩინი და ეს სულისკვეთებაა მის ბალებებში. ყოველთვის პატივია ახალგაზრდა ქართველ მოცეკვავეებთან მუშაობა. 70-იან წლებში, სსრკ-ში გასტროლის დროს, ჩვენ თბილისში ჩავედით და იქ ვიცეკვეთ. ვიცით, რომ ნინო ანანიავილი, რომელიც მაშინ პატარა იყო, მამამ სპექტაკლზე მოიყვანა. ამერიკაში და ბოგადად, მსოფლიოში არც ერთი დასის რეპერტუარი არ მიიჩნევა სრულყოფილად, თუ მასში ბალანჩინი არ არის. ეს წესი არ არის, ეს არის ის, რაც მაყურებელს სურს“.

როცა ბარტ კუკი და მარია კალეგარი 2006 წელს თბილისში „მოცარტიანას“ დგამდნენ, ნინო სამადაშვილი, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე იყო და პატარა ბალებრინების ოთხეულში ცეკვავდა. ამერიკის გასტროლზე კი უკვე სოლისტის პარტიას ასრულებს.

„12 წლის შემდეგ, როცა მარია კალეგარი თბილისში ისევ ჩამოვიდა, „მოცარტიანაში“ ვცეკვავდი როგორც სოლისტი, გვეუბნება ნინო სამადაშვილი. მარიამ მითხრა რომ ასეთი შემთხვევა არ ჰქონია. მათთან მუშაობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა, მათი პატარა შენიშვნაც კი ბევრ რამეს ცვლის ჩვენს შეს-


We know that Nina Ananiashvili, who was little then, was brought by her father to the performance. In the US, and in the world in general, no ballet company's repertoire is considered complete if Balanchine is not in it. It's not a rule, it's what the audience wants.”

When Bart Cook and Maria Calegari staged Mozartiana in Tbilisi in 2006, Nino Samadashvili, who is now the Leading Soloist of the State Ballet of Georgia, was a student at the choreographic school and danced in a quartet of young ballerinas. During the American tour, she has already been performing as a soloist.

“After 12 years, when Maria Calegari returned to Tbilisi, I performed as a soloist in Mozartiana, Nino Samadashvili tells us. Maria told me that she had never experienced such a case before. Working with them is extremely interesting and enjoyable; even their slightest contributions make a significant difference in our performance. The more I dance Balanchine, the more natural it becomes for me. In the States, I dance in all three ballets – Serenade, Mozartiana and Concerto Barocco. It is both an incredible experience and a great responsibility.”

Adrienne Godwin, representative of George Mason University: “Hosting the State Ballet of Georgia is a great honour for Mason University. It's an exceptional experience to present Balanchine's program on our stage, especially when performed by the world-class

ბარტ კუკი
რეპეტიციის
BART COOK AT
THE REHEARSAL





NORTHROP AT THE UNIVERSITY OF MINNESOTA

რულებადმი. რაც უფრო მეტად ვცეკვავ ბალანჩინის, ის ჩემთვის უფრო ორგანული ხდება. ამერიკაში სამივე ბალეტში ვცეკვავ – „სერენადაში“, „მოცარტიანაში“ და „კონჩერტო ბაროკოში“. დიდი გამოცდილება და დიდი პასუხისმგებლობაა“.

ედრიან გოდვინი, მეისონის უნივერსიტეტის წარმომადგენელი: „ჩვენთვის მეისონის უნივერსიტეტისთვის დიდი პატივია ვუმასპინძლოთ საქართველოს სახელმწიფო ბალეტს. განსაკუთრებული გამოცდილებაა ჩვენს სცენაზე ბალანჩინის პროგრამის წარმოდგენა და ამას ქართული დასი აკეთებს, რომელიც მაღალი კლასისაა. ჩვენთან არსებულ საბალეტო სკოლას საშუალება ჰქონდა ქართველი მოცეკვავეებისგან მასტერკლასი მიეღო. ჩვენთვის ეს კარგი გამოცდილებაა“

ნიუ-იორკში, ლემანის ცენტრში გამოსვლის შემდეგ, საშუალება გვქონდა „ნიუ-იორკ სითი ბალეტის“ – ჯორჯ ბალანჩინის თეატრის 75-ე საიუბილეო სეზონის გახსნას დავსწრებოდით. მიწვევა გასტროლის პროდიუსერის და „სითი ბალეტს“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის უესტი იყო ნინო ანანიაშვილისა და ქართველი მოცეკვავეებისადმი. ლინკოლნ ცენტრის დავით კოჩის თეატრში ეს დაუვიწყარი საღამო, ქართული ბალეტის სამკვირიანი გასტროლის თითქოს შემადგენელი ნაწილი იყო. ბალანჩინის ბალეტის ახლანდელი თაობის შესრულების სტილი, საოცარი ტექნიკა და მუსიკალობა „ნიუ-იორკ სითი ბალეტს“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქორეოგრაფიული კომპანიის სახელს უნარჩუნებს.

ballet company, the State Ballet of Georgia. Our ballet school had the privilege of receiving a master class from the Georgian dancers, and it has been a truly great experience for us.”

After our performance at the Lehman Centre in New York, we were given the opportunity to attend the opening of the 75th anniversary season of the New York City Ballet – George Balanchine’s Theatre. This invitation was a gesture from the tour producer and the head of the City Ballet’s Supervisory Board towards Nina Ananiashvili and the Georgian dancers. This memorable evening at Lincoln Centre’s David H. Koch Theatre seemed to be an integral part of the Georgian Ballet’s three-week tour. The remarkable performance style, stunning technique, and musicality of the current generation of Balanchine ballets maintain the New York City Ballet’s position as one of the premier choreographic companies worldwide.

The State Ballet of Georgia performed with local orchestras at the Mahalia Jackson Theatre of the Performing Arts in New Orleans, Northrop at the University of Minnesota, and the Detroit Opera House. These performances were conducted by Gavriel Heine. His collaboration with the Tbilisi Opera and Ballet Theatre began in 2022. Following his work with some of the world’s top companies, Gavriel Heine conducted Sergei Prokofiev’s Romeo and Juliet in Tbilisi and also participated in the Theatre’s tour in Dubai.

ნიუ-ორლეანში, მაჰალია ჯეკსონის არტ ცენტრში, მინიაპოლისში, მინესოტას უნივერსიტეტის ნორტ-როპის თეატრსა და დეტროიტის ოპერის დარბაზებში საბალეტო დასს გამოსვლა ადგილობრივ ორკესტრებთან ერთად ჰქონდა. სპექტაკლებს გავრიელ ჰაინე დირიჟორობდა. მისი თანამშრომლობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან 2022 წელს დაიწყო. მსოფლიოში საუკეთესო კომპანიების შემდეგ გავრიელ ჰაინე თბილისში სერგეი პროკოფიევის „რომელი და ჯულიეტას“ დირიჟორობდა და თეატრის დუბაიში გამართულ გასტროლშიც მონაწილეობდა.

გავრიელ ჰაინე, დირიჟორი: „იციკვო ბალანჩინი ეს ყველა დასისთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ქართული დასი ამას საოცრად აკეთებს. ნინო ანა-ნიაშვილთან თანამშრომლობა კი უდიდესი პატივია. საქართველოს სახელმწიფო ბალეტი უამრავ ნათელ, შემოქმედებით ადამიანს აერთიანებს. მათთან თანამშრომლობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა“.

მარიამ ელოშვილი და პაპუნა კაპანაძე ამ სეზონზე საბალეტო დასის სოლისტები გახდნენ. ისინი ამერიკაში დასის გასტროლში პირველად მონაწილეობენ.

მარიამ ელოშვილი, საბალეტო დასის სოლისტი: „ჩემთვის პირველი გასტროლია ამერიკაში. ორმაგად საპასუხისმგებლო, რადგან ბალანჩინის ვცეკვავდით. გარდა ამისა, „საგალობელს“ ვთავაზობთ მაყურებელს. „საგალობელი“ ნეოკლასიკურ სტილშია, საკმაოდ ლამაზი სანახავია. ეს ბალეტი პირველად ვიცეკვე, და მიხარია რომ აქ, ამერიკაში მომიწია მისი ცეკვა. „საგალობლის“ დროს განსაკუთრებულად გვესმოდა ემიგრანტების ოვაციები. ისინი ქართული ხუთჯვრიანი დროშებით მოვიდნენ სპექტაკლზე“.

ამერიკის თეატრებს საუკეთესო ტრადიცია აქვთ. სპექტაკლის წინ მაყურებელი ხვდება კომპანიის ხელმძღვანელს, მსახიობებს, ესაუბრებიან მათ, უფრო მეტს იგებენ ქვეყანაზე, თეატრზე, რომლის სპექტაკლი უნდა ნახონ. ასეთი შეხვედრები ყველგან შედგა. ნორტროპის თეატრში საგანგებოდ მოემზადნენ და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხელმძღვანელს ნინო ანა-ნიაშვილს ქართული სიმღერით დახვდნენ. ქართველი მოცეკვავეების მხარდასაჭერად ყველა ქალაქში მოდიოდნენ ემიგრანტები. განსაკუთრებული ემოციები მათ „საგალობლის“ შესრულების დროს ჰქონდათ, ბალეტის, რომელსაც ამერიკაში საქართველოს „სერენადა“ უწოდეს.

Gavriel Heine, conductor: “Dancing Balanchine carries a significant responsibility for all ballet companies, and the Georgian Ballet Company executes this task amazingly. Working with Nina Ananiashvili is a great honour. The State Ballet of Georgia brings together many brilliant and creative individuals. Collaborating with them brings me immense joy.”

Mariam Eloshvili and Papuna Kapanadze have become soloists of the State Ballet of Georgia this season. This marks their first time participating in the Ballet Company's tour in the States.

Mariam Eloshvili, soloist of the State Ballet of Georgia: "This is my first tour in the States, and it comes with double responsibility as we are performing Balanchine's works. Additionally, we are presenting Sagalobeli to the audience. Sagalobeli is in the neoclassical style and it is visually stunning. It's my first time dancing this ballet, and I'm delighted to have the opportunity to perform it here in the United States. During Sagalobeli, we particularly noticed the applause from the immigrants in the audience. They came to the performance with Georgian five-cross flags.

American theatres uphold a wonderful tradition. Prior to a performance, the audience often has the opportunity to meet with the head of the company and the performers, engaging in conversations to learn more about the country and the theatre they are about to experience. Such meetings took place everywhere. At Northrop, special preparations were made to welcome Nina Ananiashvili, the Director of the State Ballet of Georgia, with a traditional Georgian song. Emigrants from Georgia arrived in each city to show support for the Georgian dancers. They experienced profound emotions, especially during the performance of Sagalobeli, a ballet referred to as the 'Serenade' of Georgia in the United States.

„ისინი მე გავზარდე!“

“I RAISED THEM!”

ნინო ანანიაშვილის ქართველი მოცეკვავეები ქალაქს სტუმრობენ
Nina Ananiashvili's Georgian Dancers Come to Town

მია კურლასი
BY GIA KOURLAS

The New York
Times-ის ცეკვის
კრიტიკოსი
The dance critic of The
New York Times

The New York Times
14 აპრილი 2023
April 14, 2023

იბეჭდება შემოკლებით
Printed in abbreviated format

ფოტო:
მელისა ლიტილი
The New York
Times-ისთვის
Photo by
MELISSA LYTTLE
for The New York
Times

ანანიაშვილის საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასი ბრონქსში, *Lehman Center*-ში წარმოადგენს ჯორჯ ბალანჩინის და იური პოსოხოვის ნაწარმოებებს.

ნინო ანანიაშვილი, თავის დროზე ამერიკული ბალეტის თეატრისა და „ბოლშოის“ ვარსკვლავი, ამჟამად სათავეში უდგას საქართველოს სახელმწიფო ბალეტს, რომელიც აშშ-ში იმყოფება გასტროლზე.

Ananiashvili's company, the State Ballet of Georgia, presents a program of works by George Balanchine and Yuri Possokhov at the Lehman Center in the Bronx.

Nina Ananiashvili, the former American Ballet Theater and Bolshoi star, now leads the State Ballet of Georgia, which is on a U.S. tour.

ნინა ანანიაშვილი, თავის დროზე ამერიკული ბალეტის თეატრის ვარსკვლავი, ნიუ-იორკში რა თქმა უნდა ტურისტი არ არის, მაგრამ ამ როლს სიამოვნებით მოირგებს, როცა საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასი ქალაქს ესტუმრება. მოკლე ამერიკული ტურის ფარგლებში, ანანიაშვილის საბალეტო დასი კვირას ბრონქსში, *Lehman Performing Arts Center* -ში გამართავს წარმოდგენას. „ერთ დღეს ვიცეკვებთ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავრჩები ვალენტინა კოზლოვას კონკურსზე“, თქვა ნინო ანანიაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში. „ასე რომ, სამი დღით ტურისტი ვიქნები.“

საბალეტო დასი, რომელიც დაფუძნებულია თბილისში, იქ სადაც ანანიაშვილი დაიბადა, წარმოადგენს ჯორჯ ბალანჩინის ორ შედეგს – „სერენადა“ და „კონჩერტო ბაროკო“, და უკრაინელი წარმოშობის იური პოსოხოვის „საგალობელს“, რომელიც საქართველოს ეძღვნება. მაცურებელს ექნება იშვიათი შანსი საკუთარი თვალით იხილოს როგორ გარდაქმნა ანანიაშვილმა საბალეტო დასი მას მერე რაც სათავეში ჩაუდგა 2004 წელს. მოცეკვავეებს რაც შეეხება – „ისინი მე გავზარდე!“ – ამბობს ანანიაშვილი, „ეს ჩემი თაობაა. ყველა უკლებლივ ჩემი თაობაა, რადგან ისინი ჯერ სკოლაში იყვნენ, შემდეგ მოვიდნენ თეატრში და ახლა ცეკვავენ, ბალერინები არიან“.

60 წლის ანანიაშვილმა ცეკვა სულ რაღაც ხუთი წლის წინ შეწყვიტა. „მე მართლა მაწუხებს ტერფი და საში-

Nina Ananiashvili, a former star of American Ballet Theater, is no tourist to New York City, but she'll have fun playing one when the State Ballet of Georgia comes to town. As part of a short American tour, the company, led by Ananiashvili, will perform on Sunday at the Lehman Center for the Performing Arts in the Bronx. “We will dance one day, but I will stay a little bit for Valentina Kozlova's competition,” she said of the international ballet event in a recent video interview. “So I'm a tourist for three days.”

The company — based in Tbilisi, where Ananiashvili was born — presents two masterworks by George Balanchine, “Serenade” and “Concerto Barocco,” along with a homage to Georgia: “Sagalobeli” by the Ukrainian-born Yuri Possokhov. It's a rare chance to see how Ananiashvili has transformed the company, which she took over in 2004. As for the dancers? “I raised them!” she said. “This is my generation. They are all my generation because they were in the school and then they're coming to the theater and now they're dancing ballerinas.”

Ananiashvili, 60, stopped dancing just five years ago herself. “I really have a bad foot, and it was painful to torture myself to go in the pointe shoes,” she said. “I stopped for three months. I said, OK, maybe I'm resting. Then, I was busy and then Covid came. I don't have any feelings of, Why am I stopping? I'm going to continue what I'm doing.”

ნელი ტანჯვა იყო საკუთარი თავი იძულებაში ჩამეგდო გამოვსულიყავი პუანტებით“ – ამბობს იგი. „გადავწყვიტე სამი თვე დამესვენა. ასე ვთქვი, კეთილი, ვითომ ვისვენებ. შემდგომ ძალიან დაკავებული ვიყავი და კოვიდ პანდემიაც დაიწყო. არანაირი განცდა არ მაქვს იმაზე, რატომ გავჩერდი, რატომ შევწყვიტე ცეკვა. ვაპირებ უბრალოდ გავაგრძელო იმის კეთება, რასაც ვაკეთებდი აქამდე“.

ეს არის ახალგაზრდა მოცეკვავეებთან მუშაობა და რა თქმა უნდა, საბალეტო დასის ხელმძღვანელობა; დასის, რომლის რეპერტუარიც ნინო ანანიაშვილიმა სრულიად შეცვალა და შეავსო რუსეთში დაბადებული ქართველის – ბალანჩინის, ფრედერიკ ეშტონის, ალექსეი რატმანსკის – რომლის მხარდამჭერიც თვითონ იყო ადრეული დროიდან – და სხვათა დადგმებით. „ვფიქრობ, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია კლასიკურმა საბალეტო კომპანიებმა იცეკვონ როგორც კლასიკური, ისე ახალი ნაწარმოებები და ეს შედეგები – თქვა მან. ამიტომ, ვცდილობ დავაბალანსო ეს ყველაფერი“.

ანანიაშვილისთვის, რეპერტუარის მიუხედავად, ყველა დასი განსხვავებულია. „ყველა კომპანიას საკუთარი სახე აქვს, როგორც ჩვენ გვაქვს ჩვენი სახე“, – თქვა მან. ჩვენ ბევრ რამეს ვცეკვავთ განსხვავებულად, ვიდრე ამას დასავლეთში აკეთებენ, მაგალითად, „ნიუ-იორკ სითი ბალეში“. თუმცა ჩვენ გვიყვარს ბალანჩინის ბალეტების დადგმა. ეს ცოტათი სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე ამას შეერთებულ შტატებში ზოგიერთი დასი აკეთებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამის ნახვა თავისთავად საინტერესოა. როცა ბალანჩინის ნაწარმოებზე მუშაობ, ამას უნდა გრძნობდე“.

კლივლენდში მიცემულ ინტერვიუში, სადაც გასულ შაბათ-კვირას კლივლენდის ბალეტთან მუშაობდა, ანანიაშვილი საუბრობდა „ნიუ-იორკ სითი ბალეში“ თავის ხანმოკლე გამოსვლაზე.

1988 წელს თქვენ იყავით მიწვეული არტისტი „სითი ბალეში“. როგორ აისახა ეს თქვენ მოცეკვავედ ჩამოყალიბებაზე?

ეს იყო ძალიან განსაკუთრებული. იმ დროს პიტერ მარტინსმა დაგვპატიჟა (ანანიაშვილი და რუსი მოცეკვავე ანდრის ლიეპა) საცეკვაოდ და ეს რაღაც დაუჯერებელი იყო. ძალიან რთული იყო ბალანჩინის სწავლა. ცოტა დრო გვქონდა. მაგრამ თავისუფალი გონებით მივუდექი.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა როცა დაიკავეთ

And that is teaching, coaching and, of course, running this company, for which she has revamped the repertoire to include works by Balanchine, a Russia-born Georgian; Frederick Ashton; Alexei Ratmansky – Ananiashvili was an early champion of his ballets – and more. “I think it’s really important today for classical companies to do classical and some new works and these masterpieces,” she said. “So I try balancing this.”

To Ananiashvili, every company is different, no matter its repertoire. “A company has its own face, and I think we also have our face,” she said. “So we do a lot of maybe different things than what Western people do, like New York City Ballet. But we also love to do Balanchine. It looks a little bit different than some companies do it in the United States, but I think this is always interesting to see. With Balanchine’s work, you need to have it, you need to learn this to improve.”

Speaking from Cleveland, where she was teaching the Cleveland Ballet last weekend, Ananiashvili discussed her brief stint at City Ballet.

In 1988, you were a guest artist with City Ballet. How did that shape you?

It was something very special. At that time it was Peter Martins who invited us [Ananiashvili and the Russian dancer Andris Liepa] to dance and it was like something incredible – it was so hard for me to learn Balanchine, because it was a short time. But at the same time, my mind was open.

When you took over as artistic director of the State Ballet of Georgia, it was at the invitation of the president of the country. You had never been a director. Do you feel you are a natural at it?

[Bursts into laughter] No! No, I’m not a natural director, definitely. I’m an artist. And I’m a little bit soft maybe. At the same time, I love to have what I want to have. But I always try to be on the artists’ side, and I’m thinking, so what do they really need?

When you have a lot of people, you need to show them what you want and what your direction is. Generally I don’t have a problem. They respect what I’m doing and they follow me and we go together.

Do you think about being a woman in this job?

No. It doesn’t matter, woman or man. It’s how you’re doing it. This is a difficult job. It depends on the people

(ეს იყო ქვეყნის პრეზიდენტის მოწვევით) მანამდე არასოდეს ყოფილხართ ხელმძღვანელი. როგორ ფიქრობთ, ბუნებრივად გამოვლით ამ როლში ყოფნა?

(ივინის) არა! არა, ბუნებით არ ვარ ხელმძღვანელი, ხელოვანი ვარ. ალბათ ცოტა რბილი ვარ. ამავდროულად, მიყვარს როცა ვაღწევ იმას, რისკენაც მივსწვრავი. მაგრამ ყოველთვის ვცდილობ არტისტებს დავუჭირო მხარი და ვფიქრობ, რა სტირდებათ მათ სინამდვილეში.

როცა ბევრი ადამიანი გყავს ირგვლივ, უნდა აჩვენო რა გინდა და საით მიისწრაფვი, რა მიმართულება გაქვს აღებული. ზოგადად პრობლემა არ მაქვს. ისინი პატივს სცემენ საქმეს, მომყვებიან და ერთად გამოვდიხარ.

თუ დაფიქრებულხართ, როგორია იყო ქალი ამ თანამდებობაზე?

არა აქვს მნიშვნელობა, ქალი ხარ თუ კაცი. მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, როგორ უდგები საქმეს. ეს რთული საქმეა და დამოკიდებულია გარშემო მყოფ ადამიანებზე. მართო მუშაობა არ გამოდის. ირგვლივ ძირითადად ქალები მყავს, მინდა მამაკაცებიც მყავდეს, მაგრამ საქართველოში ძნელია. პრობლემა ისიც, რომ არც ისე ბევრი ბავშვი მოდის საბალეტო სკოლაში. ეს დასანანი.

ქართველებს სურთ ხალხურ ცეკვაზე იარონ, სურთ იცეკვონ ქართული ცეკვა – საქართველოში ძალიან პოპულარული და ძალიან ლამაზი. მაგრამ ბალეტზე სიარული, უპირველესად დიდი დატვირთვაა, მაგრამ ამავდროს გავრცელებული აზრია, რომ ეს არ არის მთლად (ის ბრტყალებს გამოსახავს ჰაერში) „კაცის საქმე“, გესმით? ამ დამოკიდებულების შეცვლას ნამდვილად დრო სჭირდება.

რისი გაკეთება გსურთ დასთან ერთად და რისი გაკეთება გსურთ თქვენთვის?

ჩემს ვენახში მინდა დავჯდე, კარგი ღვინის დასალევად! ვისიამოვნო ფანტასტიკური ხედით და არ ვინერვიულო იმაზე, მოცეკვავეები მოვლენ თუ არა ხვალ თეატრში; არ ვინერვიულო იმაზე, ავად ხომ არ გახდნენ (ივინის). თუმცა, მე ნამდვილად დიდ სიამოვნებას მანიჭებს ჩემი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ რთული საქმეა და ხანდახან ვიღლები.

მე მყავდა ძალიან კარგი მასწავლებელი, რაისა სტრუჩკოვა – 23 წელი ერთად ვიყავით „ბოლშოიში“.



around you. You cannot do it solo. I have mostly women around me, so I love to have also men, but in Georgia, it's hard to find it. It's also that not that many children come to the school. So it's also sad.

Georgians, they want to go to folk dance, they want to dance Georgian dance. It's very, very famous in Georgia and very beautiful. But to go to the ballet, first it's a hard job, but at the same time they're thinking this is not quite [she makes air quotes] “a man's job,” you know? It really takes time to change this feeling.

What do you want to do next with the company and what do you want to do for yourself?

I want to sit in my vineyard. To drink good wine! And enjoy the fantastic view and not be nervous about are the dancers coming tomorrow or not? And are they healthy or not? [Laughs] But I really enjoy what I'm doing. Even though it's hard. Sometimes I'm tired.

I had a very great Russian teacher, Raisa Struchkova – like 23 years we were together in the Bolshoi. Then in

APRIL 17, 2023, 2:00:00 AM

STATE BALLET OF GEORGIA

a RARE U.S. PERFORMANCE from this world famous company!

[BUY TICKETS](#)



მერე იყო ირინა კოლპაკოვა – 16 წელი ამერიკის ბალეტის თეატრში. ძალიან მაძლიებელი ვარ რომ ეს პედაგოგები იყვნენ ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ გადავწყვეტ ცხოვრებით დავტკბე, არაფერი გავაკეთო და არ გადავცე ჩემი ცოდნა ახალგაზრდა თაობას.

ასე რომ თქვენ აგრძელებთ.

ყოველდღე ვამბობ, ღმერთო, გმადლობ, რომ ასეთ ხალხს შემახვედრე ცხოვრებაში. ვგრძნობ, როგორ მეხმარებიან ახლა. ხანდახან ყურში ცხადად ჩამემის ის სიტყვები, რაც მითხრეს, როგორ შემისწორეს, რაც მასწავლეს. ბალეტის სამყარო ასეთია. მხოლოდ წიგნის კითხვა ვერ დაგეხმარება. უყურებთ ვიდეოებს, ესეც გეხმარებათ. მაგრამ ეს არაფერია, და ისე არ გამოდის. ადამიანი უნდა გყავდეს გვერდით, გიყუროს, შეგისწიროს, იმიტომ რომ ადამიანები ვართ, განსხვავებულები ვართ. ასე რომ, ეს ჩვენი საქმეა. ჩემი მასწავლებელი ყოველთვის მეუბნებოდა: „ახლა მისმინე, ამას მოგვიანებით გამოიყენებ, როცა მოგიწევს შენ თვითონ ასწავლო სხვას“.

the 16 years with A.B.T., it was Irina Kolpakova. I'm so thankful to these teachers in my life. And I think it will be very sad if I really enjoy life and do nothing, to not give this to a young generation.

So you keep going.

Every day I'm saying, God, thank you, you gave me these kind of people and I feel like they are really helping me now. What they said to me – sometimes I have this in my ear, even the words that they said to me, how they corrected me, what they taught me. The ballet world is like this. You cannot read books. Of course, it helps. You watch videos. It also helps. But nothing, nothing does the same job. You need to have the person next to you, to see you, correct you, Because we are human, we are different. So this is our job. And my teacher told me always: "Listen now, you will use this later when you will be teaching."

საქართველოს სერენადა

SAKARTVELO SERENADE

ჰიონ კუმბსი
by JANE COOMBS

newcriterion.com

26 აპრილი, 2023

April 26, 2023

“Mostly B”/საქართველოს სახელმწიფო
ბალეტის პროგრამის შესახებ ლემანის
საშემსრულებლო
ხელოვნების ცენტრში, ნიუ-იორკში

რამდენად ქართველი იყო ჯორჯ ბალანჩინი? გააჩნია ვის შეეკითხებით. გასულ კვირას საქართველოს სახელმწიფო ბალეტმა ბრონქსის Lehman Center for the Performing Arts-ში წარადგინა სამ მოქმედებიანი პროგრამა – “Mostly B”. საბალეტო დასმა შესრულა ბალანჩინის „სერენადა“ და „კონჩერტო ბაროკო“, ასევე იური პოსოხოვის 2008 წელს დადგმული „საგალობელი“. პირველი შესვენების დროს გასტროლის წარმდგენმა ბალანჩინი მოიხსენია როგორც „საქართველოში დაბადებული“ ქორეოგრაფი, რაზეც რამდენიმე ადამიანს გაეღიმა. მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ბი საქართველოში არ დაბადებულა, ეს საპატიებელი (და ხშირად დაშვებული) შეცდომაა. ბოლოს და ბოლოს, თვით ბალანჩინის ზოგიერთ მოცეკვავესაც ეგონა, რომ იგი საქართველოში დაბადებული გახლდათ.

სინამდვილეში, გიორგი ბალანჩივაძე 1904 წელს პეტერბურგში, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძისა და რუსი ვაჭრის ქალიშვილის მარია ვასილიევას ოჯახში დაიბადა. შემდგომში ოჯახი გადავიდა თბილისში საცხოვრებლად, გიორგი კი პეტროგრადში დარჩა და ცეკვა „მარიინსკი“ თეატრში განაგრძო 1924 წლამდე, როცა იგი Ballets Russes-ს შეუერთდა (სერგეი დიაგილევი იყო ის ვინც შესთავაზა მას სახელის ფრანგული დაბოლოება). მიუხედავად იმისა, რომ არასდროს უცხოვრია მამის ქვეყანაში და ქართულადც არ საუბრობდა, ბალანჩინი აღფრთოვანებული იყო საქართველოს ტრადიციული ხალხური ცეკვებითა და კოსტიუმებით, და ქართველებს „თანამემამულის“ სახელით მოიხსენიებდა.

How Georgian was George Balanchine? It depends on whom you ask. Last week, the State Ballet of Georgia presented “Mostly B,” a triple-bill program at the Lehman Center for the Performing Arts in the Bronx. The company danced Balanchine’s *Serenade* and *Concerto Barocco* as well as Yuri Possokhov’s 2008 piece *Sagalobeli*. At the first intermission, the announcer described Balanchine as a “Georgian-born” choreographer, causing a few people to titter. While Mr. B was not born in Georgia, it’s a forgivable (and frequent) error. Some of Balanchine’s own dancers, after all, thought him a native-born Georgian, too.

In truth, Giorgi Balanchivadze was born in St. Petersburg in 1904 to Maria Vasilyeva, a Russian merchant’s daughter, and Meliton Balanchivadze, a prominent Georgian composer. The family eventually moved to Tbilisi, but Giorgi remained in Petrograd and continued to dance at the Mariinsky Theater before joining the Ballets Russes in 1924. (It was Sergei Diaghilev who suggested he Frenchify his name.) Though he never lived in his father’s country and could not speak the language, Balanchine admired Georgia’s traditional folk dances and costumes and referred to its people as “my tribe.”

His love for Georgians was mutual. In her recent biography *Mr. B: George Balanchine’s 20th Century*, Jennifer Homans writes that Balanchine was greeted like a movie star in Tbilisi during the New York City Ballet’s 1962 tour in the Soviet Union. There he was reunited with his brother, Andrei Balanchivadze, a successful



ნინო სამადაშვილი,
პაპუნა კაპანაძე
„სერენადა“
NINO SAMADASHVILI,
PAPUNA KAPANADZE.
SERENADE

ეს სიყვარული ქართველების მიმართ ორმხრივი იყო. ჯენიფერ ჰომანსი ბიოგრაფიაში „მისტერ ბი: ჯორჯ ბალანჩინის მეოცე საუკუნე“ წერს, რომ ბალანჩინს, როგორც კინოვარსკვლავს ისე შეხვდნენ თბილისში 1962 წელს „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ საბჭოთა კავშირში გასტროლის დროს. ბავშვობის მერე პირველად აქ იგი შეხვდა თავის ძმას – წარმატებულ კომპოზიტორს და 1944 წლის სტალინის პრემიის ლაურეატს – ანდრია ბალანჩივაცეს, ასევე ნახევარძმას – დედით ქართველ აპოლონს (მამის პირველი ქორწინებიდან), რომელიც პოლიტპატიმრობის ხანგრძლივი წლების შემდგომ მღვდელი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავმა საბჭოთა მოცეკვავემ დიდი ენთუზიაზმით მიიღო „ნიუ-იორკ სითი ბალე“, მათ თვითონ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ უფლება ეცეკვათ ბალანჩინის ბალეტები. 1930-იან წლებში ჩამოყალიბებული სოციალისტური რეალიზმის პოლიტიკის მოთხოვნით ხელოვნების ყველა ნაწარმოები „ხელმისაწვდომი“ უნდა ყოფილიყო პროლეტარიატისთვის. ამ კრიტერიუმს მხოლოდ სიუჟეტური ბალეტები აკმაყოფილებდა, ბალანჩინის აბსტრაქტული ნაწარმოებები კი მიუღებელი იყო.

1983 წელს, ბალანჩინის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ სიტუაცია ცოტა შერბილდა და კიროვის ბალეტმა (ასე ერქვა პეტროგრადის „მარიინსკი თეატრს“ საბჭოთა ეპოქაში) პატივი მიაგო ქორეოგ-

composer and a winner of the 1944 Stalin Prize, for the first time since childhood. He also met his half-brother, Apollon (from his father’s first marriage to a Georgian woman), who had become a priest after surviving years as a political prisoner.

While many Soviet dancers responded enthusiastically to the nycb, they were not yet allowed to dance Balanchine ballets themselves. The policy of Socialist Realism, established in the 1930s, demanded all works of art be “accessible” to the proletariat. Only story ballets were seen to fit this criteria, which did not bode well for Balanchine’s many abstract works.

Things loosened up six months after Balanchine’s death in 1983, when the Kirov Ballet (the Mariinsky Ballet’s name during the Soviet era) held a tribute to the choreographer. In 1984, Anna Kisselgoff of *The New York Times* reported that the State Ballet of Georgia had become the first Soviet company to perform a complete Balanchine ballet (*Serenade*, learned from a poor-quality film) in public.

Twenty years later, the Georgian ballerina Nina Ananiashvili took over the Tbilisi-based company as artistic director, the post she holds today. A former principal dancer of the Bolshoi Ballet, she performed Balanchine repertoire for many years with the nycb and American Ballet Theatre and is responsible for reviving his works in Georgia as well as commissioning new choreography that draws upon the country’s cultural heritage.

“Mostly B” opened with two pieces Balanchine made early in his career for his students at the School of American Ballet. The first was 1934’s *Serenade*, a mysterious moonlit ballet in four movements set to Tchaikovsky’s *Serenade for Strings*. The unity and precision local audiences are used to seeing at the nycb, whose dancers are drawn almost exclusively from Balanchine’s school, is impossible to match, but the sbg corps brought sky-high extensions, flurries of piqué turns in circle formations, and strong lines, though the soloists seemed to hold back when the music instead called for abandon. The troupe nevertheless built to a beautiful conclusion, in which several female dancers bourréed towards a beam of light at the back of the stage, while the figure known as “Waltz Girl,” who collapsed in the third movement, stood in a slight back-bend, hair loosened, held aloft by two male soloists.

The second piece, 1941’s *Concerto Barocco*, set to Bach’s *Concerto for Two Violins*, is often described as a “mathematical” ballet that tests dancers’ minds as

რაფს. 1984 წელს „ნიუ-იორკ ტაიმის“ ცეკვის კრიტიკოსი ანა კისელგოფი წერს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბალეტი პირველი საბჭოთა საბალეტო დასია, რომელმაც საჯაროდ შეასრულა ბალანჩინის ბალეტი („სერენადა“, რომელიც უხარისხო ჩანაწერიდან ისწავლეს).

ოცი წლის შემდეგ, თბილისის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ქართველმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა დაიკავა. იგი დღემდე ამ თანამდებობაზეა. „ბოლშოი“ ბალეტის ყოფილი მთავარი მოცეკვავე, მრავალი წლის განმავლობაში ასრულებდა ბალანჩინის რეპერტუარს „ნიუ-იორკ სითი ბალესთან“ და ამერიკული ბალეტის თეატრთან ერთად. ის პასუხისმგებელია საქართველოში ბალანჩინის ნამუშევრების დადგმებზე, ასევე ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ახალი ქორეოგრაფიულ დადგმების განხორციელებაზე.

“Mostly B” გაიხსნა ორი ნაწარმოებით, რომელიც ბალანჩინმა კარიერის დასაწყისში შექმნა ამერიკული ბალეტის სკოლის სტუდენტებისთვის. პირველი გახლავთ 1934 წლის „სერენადა“ – იდუმალი მთვარით განათებული ბალეტი ოთხ ნაწილად, რომელიც შექმნა ჩაიკოვსკის ნაწარმოებზე – „სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის“.

